ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2843760

ნომერი: AR1440321

თარიღი : 14.09.2016

გაცემის თარიღი : 19.09.2016

გაცნობის თარიღი : 19.09.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ლუბლიანას ქუჩა N1ბ ; ქალაქი თბილისი , ლუბლიანას ქუჩა N1ბ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ბასარია პ/ნ 62006039308
- ქ. თბილისი პასტერის ქუჩა

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  კორექტირება
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება
  რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე არსებული შენობის ფასადზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების (ფასადის შელესვა-შეღებვის, ხის კედლის და სარეკლამო აბრების მოწყობის) განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი–დიდუბე, ლუბლიანას ქ. #1ბ–ში, შპს "გეოქარს"-ის საკუთრებაში არსებულ ფართის ფასადზე კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების (ფასადის შელესვა-შეღებვის, ხის კედლის და სარეკლამო აბრების მოწყობის) განხორციელებას. ჩასატარებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ "თბილისის არქიტექტურის სამსახური".

"მშენებლობის ნაბართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად არქიტექტურის სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ფართების კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტის საკადასტრო მონაცემები #01.13.02.010.054.01.500; #01.13.02.010.054.01.501; არსებული ფოტო და კორექტირებული ფოტომონტაჟი, ესკიზური ნახაზები, საჯარო რეესტრში დაცული შიდა ფართების გამიჯვნის ნახაზი, არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული №2512941 01.04.2016 წ. გადაწყვეტილება) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისი, სექტორი–დიდუბე, ლუბლიანას ქ. #1ბ–ში, შპს "გეოქარს"-ის საკუთრებაში არსებულ ფართის ფასადზე კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების (ფასადის შელესვა-შეღებვის, ხის კედლის და სარეკლამო აბრების მოწყობის) განხორციელების შესაძლებლობას.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge